FORMATION OF "SOUTH OSSETIA" IN HISTORY TEXTBOOKS (1991-2022)
„სამხრეთ ოსეთის" ჩამოყალიბება ისტორიის სახელმძღვანელოებში (1991-2022)

Tamar Orjonikidze
PhD student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Faculty of Social and Political Sciences,
№1 Chavchavadze Ave, Tbilisi, Georgia
Institute of Political Sciences, Ilia State University, Researcher
tamar.orjonikidze@tsu.ge, +995 598 150002
https://orcid.org/0000-0001-7867-912X

Abstract

The article discusses the reasons and consequences of the creation of the "South Ossetia" Autonomous Oblast in the school textbooks of Georgian and world history. The work is based on the content analysis of school history textbooks published after the restoration of independence of Georgia. Attention is focused on the volume of material and presented documents. The main facts about what the authors of the textbooks pay special attention when discussing the mentioned issue are highlighted. Among them, the reasons for the creation of the autonomous oblast, the real intentions of Soviet Russia and the dissatisfaction of the Georgian population living in the territory of the region and the leadership of the Communist Party of Georgia at that time, which is caused due to the groundlessness of the creation of the autonomous region.

School history textbooks are given great importance for the correct transmission of history and also against various falsified versions, in particular for exposing the propagandistic myths of history used by the Russian government for neo-imperial political purposes, through which Moscow tries to justify the occupation and subsequent annexation of the territory of Georgia.

In the reviewed textbooks of Georgian and world history, the authors try to show the reader a complete picture - by describing the motives, process and results of the creation of the "South Ossetia"Autonomous Oblast. A number of textbooks show the outcomes that came to Georgia as a result of the deliberate actions of the Bolsheviks to create new administrative units in the conquered states under the motive of "protection of national minorities" by inciting separatism and using it to fight against the freedom and sovereignty of new, independent states, including Georgia.

Keywords: History textbooks; "South Ossetia"; Russian propaganda; Georgia.

თამარ ორჯონიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 1
tamar.orjonikidze@tsu.ge, +995 598 150002
https://orcid.org/0000-0001-7867-912X

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის მიზეზები და შედეგები. ნაშრომი ეყრდნობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ გამოცემული სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების შინაარსობრივ ანალიზს. ყურადღება გამახვილებულია მასალის მოცულობასა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე. გამოყოფილია ის ძირითადი ფაქტები, რასაც სახელმძღვანელოთა ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აღნიშნული საკითხის განხილვისას. მათ შორის ავტონომიური ოლქის შექმნის მიზეზები, საბჭოთა რუსეთის რეალური ზრახვები და ოლქის ტერიტორიაზე მოქცეული ქართული მოსახლეობის და საქართველოს კომუნისტური პარტიის იმდროინდელი ხელმძღვანელობის უკმაყოფილება, რაც ავტონომიური ოლქის შექმნის უსაფუძვლობითაა განპირობებული.

ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ერთი მხრივ, ისტორიის სწორად გადმოცემის და მეორე მხრივ, სხვადასხვა სახის ფალსიფიცირებული ვერსიების საწინააღმდეგოდ. კერძოდ, რუსეთის ხელისუფლების მიერ ნეოიმპერიული პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებული ისტორიის პროპაგანდისტული მითების მხილებისთვის, რომლის მეშვეობითაც მოსკოვი ცდილობს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის და შემდგომი ანექსიის გამართლებას.

საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის განხილულ სახელმძღვანელოებში ავტორები ცდილობენ სრული სურათი დაანახონ მკითხველს - „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის მოტივების, პროცესისა და შედეგების აღწერით. რიგ სახელმძღვანელოებში ნაჩვენებია ის შედეგი, რაც საქართველოსათვის დადგა ბოლშევიკთა მიზანმიმართული ქმედებებით, დაპყრობილ სახელმწიფოებში „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის“ მოტივით შეექმნათ ახალი ადმინისტრაციული ერთეულები - სეპარატიზმის გაღვივება და მისი გამოყენებით ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა.

საკვანძო სიტყვები: ისტორიის სახელმძღვანელოები; „სამხრეთ ოსეთი“; რუსული პროპაგანდა; საქართველო.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის სამართლებრივ მემკვიდრედ რუსეთის ფედერაცია იქცა, რომელიც სხვადასხვა ფორმით პრეტენზიას აცხადებს ყოფილი „მოკავშირე რესპუბლიკების“ ტერიტორიებზე. რუსეთი თავისი იმპერიული პოლიტიკის დასასაბუთებლად მუდმივად იშველიებს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ფალსიფიცირებულ ისტორიას. ისტორიის გაყალბება ათწლეულებია მიმდინარეობს. 2019 წლის 9 ივლისს კი რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის ვიდეომიმართვაში „შეჯამებულია“ ამ გაყალბების არსი, როდესაც მან საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ისტორიის „საკუთარი ვერსია“ წამოაყენა. მისი მტკიცებით, „ოსეთი (მისი ჩრდილოეთი და სამხრეთ ნაწილები) 1774 წელს შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. 1810 წელს აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო(სამთავრო) ისე შეუერთდა იმპერიას. მოგვიანებით კი ოსეთის სამხრეთ ნაწილი ტფილისის გუბერნიაში შევიდა, არავითარი საქართველო არ არსებობდა“. პუტინის თანახმად, „გერმანული ჯარების დახმარებით საქართველომ 1918 წელს მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია. ოკუპანტები ძალიან სასტიკად იქცეოდნენ. უფრო სასტიკად იქცეოდნენ ქართული საოკუპაციო ჯარები ოსეთში 1919-1920 წლებში. არსობრივად, ეს ზუსტად ისაა, რასაც დღეს გენოციდი ეწოდება“[1].

აღსანიშნავია ასევე, „სამხრეთ ოსეთის“ რუსეთთან „შეერთების“ საკითხი. აღნიშნული განსაკუთრებით გააქტიურდა 2022 წელს, როდესაც თვითგამოცხადებულმა პრეზიდენტმა ბიბილოვმა რეფერენდუმი ჩანიშნა აღნიშნული საკითხის შესახებ ამავე წლის 17 ივლისს. თუმცა რეფერენდუმი არ ჩატარებულა. კრემლმა თავი შეიკავა და საკუთარი თავშეკავება ძირითადად გეოპოლიტიკური სიტუაციით ახსნა - 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, რამაც საერთაშორისო საზოგადოების მკვეთრად ნეგატიური პოზიცია გამოიწვია.

რუსეთს სურს, გაყალბებული ისტორია გამოიყენოს თავისი ანექსიური პოლიტიკის გასამართლებლად. რუსული ისტორიული პროპაგანდის საწინააღმდეგოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ნამდვილი ისტორიის წარმოჩენას და სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოები.

კვლევის მეთოლოგია

ნაშრომი ეყრდნობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ გამოცემული სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების შინაარსობრივ ანალიზს. ყურადღება გამახვილებულია მასალის მოცულობაზე, გამოყენებულ ვიზუალურ და კარტოგრაფიულ მხარესა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე.

შედეგები

სახელმძღვანელოთა შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რასაც ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. მათ შორის:

[1] https://fb.watch/g9vW39EhcV/

1. **„სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის მიზეზები** - განხილული სახელმძღვანელოების ავტორები პირველ რიგში ცდილობენ გამოკვეთონ ის მიზნები, რაც ბოლშევიკებს ამოძრავებდათ ახალი ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისას. გაცხადებული მიზანი - „ბურჟუაზიული წყობილებისას“ გაღვივებული „ეროვნული შუღლის“ აღმოფხვრა იყო, თუმცა სინამდვილეში ახალ ტერიტორიულ ერთეულებს (ვითომდა იქ მცხოვრები ეროვნული უმცირესობების დაცვის მოტივით) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები დადებითად უნდა განეწყოთ საბჭოთა ხელისუფლებისადმი და დაეპირისპირებინათ ქართველებისთვის.
2. **ავტონომიური ოლქის შექმნის უსაფუძვლობა** - თითქმის ყველა სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ ავტონომიური ოლქის შესაქმნელად საჭირო არც ტერიტორია და არც მოსახლეობის რაოდენობა არ იყო საკმარისი. ეთნიკურად ოსთა მასობრივი ჩამოსახლებაუკვე გასაბჭოების შემდგომ დაიწყო. ამიტომ ბოლშევიკებმა ქართველებით დასახლებული ტერიტორიები (რამდენიმე ათეული ქართული სოფელი, ქალაქი ცხინვალი)მოაქციეს ახალი ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში.
3. **საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების და ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ნეგატიური რეაქცია ოლქის შექმნაზე** - ზოგიერთ სახელმძღვანელოში ქართველი კომუნისტების უარყოფითი დამოკიდებულებაცაა ნაჩვენები საქართველოს დანაწევრების პროცესისას. ავტორები ასევე ხაზს უსვამენ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას, რომლებიც ახლადშექმნილი, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში მოაქციეს.

მსჯელობა

ფარნაოზ ლომაშვილის ავტორობით 2002 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში (ლომაშვილი, 2002) მეთერთმეტე თავი ეთმობა საბჭოთა რეჟიმის დამყარებას საქართველოში. სწორედ ამ თავშია განხილული „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოური ისტორიაც. კონკრეტულად აფხაზეთის ან „სამხრეთ ოსეთის“ საკითხების მიმოხილვამდე, ავტორი გვთავაზობს მოსკოვის ეროვნული პოლიტიკის მოკლე დახასიათებას. - ლომაშვილი ბოლშევიკების მაშინდელ პოლიტიკას „გათიშე და იბატონე“-ს უწოდებს, იმის გათვალისწინებით, რა ჩანაფიქრები ჰქონდათ კომუნისტურ პარტიაში უკვე გასაბჭოებულ თუ „დასაკავებელ“ ტერიტორიებთან დაკავშირებით - „ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ლენინმა „გათიშე და იბატონეს“ სახელგატეხილი და აშკარად იმპერიული ლოზუნგის ნაცვლად წამოაყენა უფრო მოქნილი და თვალთმაქცი ლოზუნგი - „გამოყოფა გაერთიანებისთვის“. იგი ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი ნაწილი მხოლოდ ტაქტიკურ ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა ეროვნულ ძალთა მიზიდვას. მთავარი იყო ლოზუნგის მეორე ნაწილი, რომელიც რუსეთის იმპერიის „განახლებას“ გულისხმობდა. პირველ ეტაპზე თითქმის ყველა ძალდატანებით გასაბჭოებულ მხარეს „დამოუკიდებლობას“ განუკითხავად ანიჭებდნენ. შემდგომში კი მათ ასევე განუკითხავად ახალი იმპერიისაკენ მიერეკებოდნენ“(ლომაშვილი, 2002, გვ. 57). ლომაშვილი ყურადღებას ოსების რაოდენობაზე ამახვილებს; აღნიშნავს, რომ საქართველოში ოსები ჩვეულებრივ უმცირესობას წარმოადგენდნენ და მხოლოდ კულტურული ავტონომიით შეიძლება ესარგებლათ. ამის მიუხედავად კი „ოსი სეპარატისტები პოლიტიკურ-ტერიტორიულ ავტონომიას მოითხოვდნენ. რაც მთავარია, ისინი პრეტენზიას აცხადებდნენ ავტონომიის უმაღლეს სტატუსზე-რესპუბლიკაზე“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 58)

საინტერესოა სახელმძღვანელოში მოცემული კიდევ ერთი ინფორმაცია - რკპ(ბ) კავბიუროს და მისი ხელმძღვანელების დამოკიდებულება ოსი სეპარატისტების უსაფუძვლო პრეტენზიებზე - 1921 წლის 6-8 სექტემბერს „სამხრეთ ოსეთის“ რევკომისა და პარტკომის გაფართოებულმა სხდომამ მიიღო დადგენილება საქართველოს შემადგენლობაში „სამხრეთ ოსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნის შესახებ. ეს პროექტი იმდენად უსაფუძვლო იყო, რომ იგი ოს სეპარატისტთა მფარველმა, რკპ (ბ) კავბიურომაც კი უარყო. ამ უკანასკნელმა 1921 წლის 31 ოქტომბერს მიზანშეწონილად ცნო საქართველოს შემადგენლობაში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა (ლომაშვილი, 2002, გვ. 58)

სახელმძღვანელოში მოცემულია ასევე შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება აღნიშნულ ფაქტთან მიმართებაში; აქვე ახსნილია მიზეზიც: „ხელოვნურად შეკოწიწებულ „სამხრეთ ოსეთს“ სრულიად უსაფუძვლოდ მიეკუთვნა ქალაქი ცხინვალი და 40 ქართული სოფელი, სადაც 20 ათასამდე კაცი ცხოვრობდა“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 58)

სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია ასევე ოლქის სეპარატისტული ძალების განუწყვეტელ პრეტენზიებზეც - განსაკუთრებით მას შემდეგ რაც რუსეთის შემადგენლობაში „ჩრდილო ოსეთის“ ავტონომიური ოლქი შეიქმნა -„ჩრდილო ოსეთის“ საბჭოების პირველ ყრილობაზე ორი ოსეთის გაერთიანების საკითხი დადგა, „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოების ყრილობამ კი აზრი მოიწონა და დაადგინა, რომ გაერთიანებული ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში შესულიყო. გეგმა ერთხმად მიიღეს როგორც საქართველოს, ასევე ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა. თუმცა აქ გამოჩნდა მოსკოვის რეალური ზრახვებიც - საქართველოს ფარგლებში გაერთიანებული ოსეთი მოსკოვისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და გეგმა ჩაიშალა“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 58)

ავტორი ეხება არასრული ან დამახინჯებული ისტორიის გადმოცემის საკითხსაც. ლომაშვილი ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს - „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე ვერავინ გაბედა ეთქვა, რომ ჩრდილო ოსეთიდან საქართველოში ჩამოსახლებულ რამდენიმე ოსურ სოფელს საერთაშორისო სტანდარტებისა და კანონმდებლობის მიხედვით მხოლოდ „კულტურულ-ნაციონალური“ ავტონომია ეკუთვნოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ კი, რომელიც „გათიშე და იბატონეს“ ცნობილი პრინციპით ხელმძღვანელობდა, ამ რამდენიმე ოსურ სოფელს ქ. ცხინვალი და ორმოცამდე ქართული სოფელიც მიათვალა და შექმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ეს ხელოვნურად შეკოწიწებული ავტონომია დღეს საქართველოს მთლიანობას არღვევს და პოსტსაბჭოური რუსეთის წაქეზებითა და დახმარებით დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად ან რუსეთის შემადგენლობაში შესასვლელად იბრძვის“[2](ლომაშვილი, 2002, გვ. 60)

სახელმძღვანელოში დოკუმენტის სახით მოცემულია ნაწყვეტი რსფსრ სამხედრო ატაშეს, პ. სიტინის 1921 წლის 22 აპრილის მოხსენებითი ბარათიდან მთავრობისადმი. ატაშე „ქართულ შოვინიზმზე“ საუბრობს და მასთან „ბრძოლის“ გზად აფხაზეთისა და სამეგრელოსთვის ავტონომიის მინიჭებას ასახელებს; იქვე მიუთითებს, რომ ეს ავტონომიები რუსეთის გავლენის

[2]გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე და შესაბამისად რუსეთის ფედერაციის მიერ „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებამდეა შექმნილი.

ქვეშ იქნებოდნენ (ლომაშვილი, 2002, გვ. 61). მოცემული დოკუმენტით შესაძლებელია მსჯელობა ბოლშევიკთა ნამდვილ განზრახვებზე.

კიდევ ერთი სახელმძღვანელო, რომელიც საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში შექმნილ ავტონომიურ ერთეულებზე საუბრობს, ვაჩნაძისა და გურულის ავტორობით, 2005 წელს გამოსული IX კლასის საქართველოს ისტორიაა(ვაჩნაძე, მ. გურული, ვ., 2005).ამ შემთხვევაშიც ავტორები ყურადღებას ამახვილებენ საბჭოთა რუსეთის მიზნებზე, რის გამოც ის ჯერ კიდევ დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირობებში ახალისებდა და „აქეზებდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს, რომელთაც ხელყვეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს“(ვაჩნაძე, მ. გურული, ვ., 2005, გვ. 106), თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ „1921 წელს განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ აფხაზ და ოს სეპარატისტებს მფარველად მოევლინათ საბჭოთა რუსეთი“ (ვაჩნაძე, მ. გურული, ვ., 2005, გვ. 106). კონკრეტულად „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის განხილვისას, მოცემული სახელმძღვანელოს ავტორებიც ხაზს უსვამენ აღნიშნულის მიზანშეუწონლობას ოსი მოსახლეობის მცირე რაოდენობიდან გამომდინარე - „ავტონომიური ოლქის შექმნის მომენტში სამაჩაბლოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ და ამდენად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა არ იყო გამართლებული“(ვაჩნაძე, მ. გურული, ვ., 2005, გვ. 107).

მომდევნო სახელმძღვანელო, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხსაც მოიცავს, 2012 წელს გამოცემული ისტორიაა მე-12 კლასისათვის(კიღურაძე, ნ. გაჩეჩილაძე, რ. სანიკიძე, გ., 2012). ავტორები საინტერესო ახსნას გვთავაზობენ მოსკოვის მიზნებისა, ქართველებით დასახლებული ტერიტორია გადაეცა ახლადშექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქისათვის - „მოსკოვის მიზანს შეადგენდა სამხრეთელი ოსების გამოყენება მოსალოდნელი ქართული ნაციონალიზმის საპირწონედ“ (კიღურაძე, ნ. გაჩეჩილაძე, რ. სანიკიძე, გ., 2012, გვ. 240). ავტორები საქართველოს კომუნისტური მთავრობის წევრების შესახებაც საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან - „ოსები ბევრად უფრო დიდ ტერიტორიას ითხოვდნენ, ხოლო საქართველოს კომუნისტური მთავრობის ბევრი წევრი ავტონომიური ოლქის შექმნით ქვეყნის ტერიტორიის დაქუცმაცების წინააღმდეგი იყო“ (კიღურაძე, ნ. გაჩეჩილაძე, რ. სანიკიძე, გ., 2012, გვ. 240). თუმცა მოსკოვის სიტყვა გადამწყვეტი იყო. აქ ავტორები კონკრეტულ პიროვნებას გამოკვეთენ-იოსებ სტალინს. ავტორები ავტონომიურ ოლქს მიკუთვნებულ ქართულ დასახლებებზე ამახვილებენ ყურადღებას - „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გადაეცა ქართული ქალაქი ცხინვალი, რადგან მის გარეშე იქ არც ერთი საქალაქო დასახლება არ იქნებოდა და ძირითადად ქართველებით დასახლებული ახალგორის რაიონი, ყოფილი ქსნის საერისთავო(კიღურაძე, ნ. გაჩეჩილაძე, რ. სანიკიძე, გ., 2012, გვ. 240). მოცემულ სახელმძღვანელოში კიდევ ერთი ფაქტორი ჩნდება, რომელიც საბჭოთა რუსეთის (საბჭოთა კავშირის) რეალურ განზრახვებს აჩვენებს - როკის გვირაბი, რომელიც ავტორთა განმარტებით, 1970-იანი წლებიდან სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის დასაკავშირებლად შენდებოდა და გახსნისთანავე წააქეზა ოსური სეპარატიზმი.

აღნიშნული საკითხი განხილულია, 2012 წელს გამოცემული მეცხრე კლასის საქართველოს ისტორიის კიდევ ერთ სახელმძღვანელოში(ჯანელიძე, ო. თაბუაშვილი, ა. თავაძე, ლ. ირემაშვილი, ნ., 2012). საქართველოს ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილებას, მოცემული ნაშრომის ავტორებიც ბოლშევიკთა მიზნებს უკავშირებენ - „საბჭოთა პროპაგანდა ამტკიცებდა, რომ ეთნიკური უმცირესობები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

შევიწროებას განიცდიდნენ“ (ჯანელიძე, ო. თაბუაშვილი, ა. თავაძე, ლ. ირემაშვილი, ნ., 2012, გვ. 339). ბოლშევიკები კი მენშევიკებზე უკეთ გადაწყვეტდნენ „პრობლემას“. ამ შემთხვევაშიც მოცემულ სახელმძღვანელოში ავტორები ყურადღებას საქართველოში მცხოვრებ ოსთა მცირე რაოდენობაზე აკეთებენ და სხვათა მსგავსად ისინიც მიუთითებენ, რომ „საქართველოში ოსთა კომპაქტური განსახლების არეალი ფართო არ იყო და მხოლოდ ორ ათეულამდე სასოფლო თემს მოიცავდა“ (ჯანელიძე, ო. თაბუაშვილი, ა. თავაძე, ლ. ირემაშვილი, ნ., 2012, გვ. 340). ავტონომიური ოლქის შესაქმნელად(საჭირო ტერიტორია და მოსახლეობის რაოდენობა) ბოლშევიკებმა გამოიყენეს ქართული სოფლები და ქალაქი ცხინვალი. ამ ფაქტის ასახსნელად ავტორები იმოწმებენ გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრს: „ეს ზომა მიმართული იყო....იქითკენ, რომ ოსურ-ქართული შუღლი გაეღვივებინა და საქართველოს ჩრდილოეთიდან შემოსავალი ჭიშკარი მოსკოვის ხელში ყოფილიყო სავსებით“ (ჯანელიძე, ო. თაბუაშვილი, ა. თავაძე, ლ. ირემაშვილი, ნ., 2012, გვ. 340).

„სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნამდე, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და მანამდე შიდა ქართლში განვითარებულ მოვლენებს გადმოგვცემს 2012 წელს გამოცემული მეთორმეტეკლასელთა ისტორიის წიგნი (აბდალაძე, გ. კუპატაძე, ბ. ახმეტელი, ნ. მურღულია, ნ. , 2012). 1917 წელს შექმნილი ოსთა ეროვნული საბჭო შექმნისთანავე დაადგა საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან კონფრონტაციის გზას. – „ისინი რუსეთის დახმარებით აპირებდნენ ისტორიული შიდა ქართლის შეერთებას ჩრდილოეთ ოსეთთან, ე.ი. ფაქტობრივად რუსეთთან“, რასაც მხარს უჭერდა საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა, რომელმაც უკვე დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, შეაიარაღა ოსი სეპარატისტები და ბოლშევიკური გადატრიალებისკენ წააქეზა შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში. საქართველოს ხელისუფლებამ წინააღმდეგობა გაუწია მათ და 1920 წლის ზაფხულისათვის შიდა ქართლში სრულად აღდგა საქართველოს იურისდიქცია (აბდალაძე, გ. კუპატაძე, ბ. ახმეტელი, ნ. მურღულია, ნ. , 2012, გვ. 143).

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნას და საბჭოთა კავშირის დაშლისას ამ ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს უფრო დეტალურად აღწერს 2021 წელს გამოცემული კიდევ ერთი სახელმძღვანელო - საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია მეცხრეკლასელთათვის(სურგულაძე, მ. კეკელია, ვ. ლაბაძე, რ. მურუსიძე, შ. ქურთუბაძე, მ. , 2021). როგორც დანარჩენი, უკვე განხილული სახელმძღვანელოების შემთხვევაში, მოცემულ წიგნშიც, ავტორები პირველ რიგში გვაწვდიან ინფორმაციას ბოლშევიკთა გაცხადებული თუ დაფარული მიზნების შესახებ, რის გამოც ისინი გასაბჭოებულ ტერიტორიებზე ხელოვნურად ქმნიდნენ ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებს. მანამდე არსებული „ბურჟუაზიული წყობილების“ აღმოსაფხვრელად, რომელმაც რესპუბლიკებში „ეროვნული შუღლი“ გააღვივა, ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობებისთვის ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქების სტატუსი მიენიჭებინათ. სწორედ ამის გამო 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შექმნეს, თუმცა აღნიშნულია, რომ ოლქი შეიქმნა არა მხოლოდ ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე, არამედ მის შემადგენლობაში შეიყვანეს ქართული სოფლებიც, რამაც ადგილობრივი ქართული მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ყურადღება გამახვილებულია ასევე იმ კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსთა რაოდენობაზე, რომელიც გაიზარდა გასაბჭოების შემდგომ - „მასობრივად ჩამოდიოდნენ და სახლდებოდნენ ეთნიკური ოსები“.

მოცემულ სახელმძღვანელოში ხაზგასმულია ასევე, უკვე საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში განვითარებული მოვლენები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში; მოცემულია 1989 წლის ოსური მანიფესტაციის სურათები და გამოყენებული ტრანსპარანტი წარწერით - „ოსეთი იყო, არის და იქნება საბჭოური". აქვე არის ამონარიდი 1990 წლის სექტემბერში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ მიღებული ცალმხრივი გადაწყვეტილებიდან ავტონომიის სტატუსის შეცვლის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნას სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად. ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, შეიყვანოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი" (სურგულაძე, მ. კეკელია, ვ. ლაბაძე, რ. მურუსიძე, შ. ქურთუბაძე, მ. , 2021, გვ. 138).

კარგი იქნება, სახელმძღვანელოებში მეტად იყოს წარმოდგენილი ფაქტობრივი, სტატისტიკური და დოკუმენტური მასალა (რუკები, ცხრილები, დოკუმენტები). მაგალითად, დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ოლქის შემადგენლობაში შეყვანილი ქართული მოსახლეობა ეწინააღმდეგებოდა მათ მოქცევას ახლადშექმნილ ადმინისტრაციულ ერთეულში. სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ამ სახის კონკრეტული ნაბიჯები (გამოსვლები, მიმართვები საბჭოთა ხელისუფლებას...), რასაც ადგილობრივები მიმართავდნენ პროტესტის გამოსახატად, უფრო თვალნათელს გახდიდა მოსწავლეთათვის ადგილობრივთა განწყობას.

ასევე მნიშვნელოვანია და მოსწავლეთათვის უფრო თვალსაჩინო იქნებოდა ცხრილების გამოყენება, რომელიც აჩვენებდა ოლქში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებას.

დასკვნა

საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის განხილულ სახელმძღვანელოებში ავტორები ცდილობენ სრული სურათი დაანახონ მკითხველს - „სამხრეთ ოსეთის" შექმნის მოტივების, პროცესისა და შედეგების აღწერით. შესაძლებელია ითქვას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ იმ ისტორიული დეზინფორმაციის გაქარწყლებაში, რომელიც მიზანმიმართულად ვრცელდება რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ საკუთარი პოლიტიკის ასახსნელად სხვა ქვეყნების ტერიტორიათა მიტაცების პროცესში. რიგ სახელმძღვანელოში ნაჩვენებია ის შედეგი, რაც საქართველოსათვის დადგა ბოლშევიკთა მიზანმიმართული ქმედებებით, დაპყრობილ სახელმწიფოებში „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის" მოტივით შეექმნათ ახალი ადმინისტრაციული ერთეულები - სეპარატიზმის გაღვივება და მისი გამოყენებით ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა.

გამოყენებული ლიტერატურა

აბდალაძე, გ. კუპატაძე, ბ. ახმეტელი, ნ. მურღულია, ნ. (2012). *ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა "დიოგენე".

ახმეტელი, ნ. ლორთქიფანიძე, ბ. ფირცხალავა, ნ. (2020). *ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „დიოგენე".

ახმეტელი, ნ. ლორთქიფანიძე, ბ. ფირცხალავა, ნ. (2022). *საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „დიოგენე".

ბოლოთაშვილი, გ. კიღურაძე, ნ. მეძმარიაშვილი, ე. (2004). *უახლესი ისტორია 1918-1991.* თბილისი. გამომცემლობა „კონა".

ვაჩნაძე, მ. და გურული, ვ. (2005 წ.) *საქართველოს ისტორია IX.* თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი".

კიღურაძე, ნ. გაჩეჩილაძე, რ. სანიკიძე, გ. (2012). *ისტორია.* თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ლომაშვილი, ფ. (2002). *საქართველოს ისტორია 1801-2001.* თბილისი. ივერია. გამომცემლობა "ცისარტყელა".

მალაზონია, დ. კვიტაიშვილი, ნ. მალაზონია, თ. (2008). *საქართველოს ისტორია.* „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი".

ნეტგაზეთი.10 ივლისი, 2019 წელი. პერტაია, ლუკა. *რა მიზანი აქვს პუტინს, როცა საქართველოს ოკუპაციასა და გენოციდში ადანაშაულებს* https://netgazeti.ge/news/379771/

პუტინის ისტორია - დიდი ტყუილი. გამოქვეყნების თარიღი 9 ივლისი, 2020 წ. https://fb.watch/g9vW39EhcV/

სურგულაძე, მ. კეკელია, ვ. ლაბაძე, რ. მურუსიძე, შ. და ქურთუბაძე, მ. (2021). *საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია.* თბილისი. ლოგოს პრესი

ქოქოშვილი, დ.(10 ივლისი, 2019). *პუტინი საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციასა და გენოციდში ადანაშაულებს.* ნეტგაზეთი*https://netgazeti.ge/news/379568/*

ტაბულა. (19 მაისი, 2022). *რუდენკო ე.წ. რეფერენდუმზე: გასათვალისწინებელია გეოპოლიტიკური სიტუაცია და მიზანშეწონილობა.* https://tabula.ge/ge/news/686323-rudenko-ec-reperendumze-gasatvaliscinebelia

ჯანელიძე, ო. თაბუაშვილი, ა. თავაძე, ლ. ირემაშვილი, ნ. (2012). *საქართველოს ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „კლიო".

References

abdaladze, g. k'up'at'adze, b. akhmet'eli, n. murghulia, n. (2012). *ist'oria [History].* Tbilisi: Publishing House“Diogene”.

akhmet'eli, n. lortkipanidze, b. pirtskhalava, n. (2020). *ist'oria [History].* Tbilisi: Publishing House “Diogene”.

akhmet'eli, n. lortkipanidze, b. pirtskhalava, n. (2022). *sakartvelosa da msoplios ist'oria [History of Georgia and the World].* Tbilisi: Publishing House “Diogene”.

bolotashvili, g. k'ighuradze, n. medzmariashvili, e. (2004). *uakhlesi ist'oria 1918-1991 [Recent history 1918-1991].* Tbilisi: Publishing House „k'ona“.

vachnadze, m. da guruli, v. (2005 ts'.) *sakartvelos ist'oria IX [History of Georgia IX].* Tbilisi: Publishing House „Artanuji“.

k'ighuradze, n. gachechiladze, r. sanik'idze, g. (2012). *ist'oria [History].* Tbilisi: Publishing House “Bakur Sulakauris Gamomtsemloba”.

lomashvili, p. (2002). *sakartvelos ist'oria 1801-2001 [History of Georgia 1801-2001].* Tbilisi: Publishing House“Tsisartkela“.

malazonia, d. k'vit'aishvili, n. malazonia, t. (2008). *sakartvelos ist'oria. [History of Georgia]* „kartuli biograpiuli tsent'ri“.

p'ert'aia, l. (10 ivlisi, 2019). *ra mizani akvs p'ut'ins, rotsa sakartvelos ok'up'atsiasa da genotsidshi adanashaulebs [What is Putin's goal when he accuses Georgia of occupation and genocide].* net'gazeti.https://netgazeti.ge/news/379771/

p'ut'inis ist'oria - didi t'quili [History of Putin - big lie]. gamokvveqnebis tarighi 9 ivlisi, 2020 ts'. https://fb.watch/g9vW39EhcV/

kokoshvili, d. (10 ivlisi, 2019). *p'ut'ini sakartvelos apkhazetisa da samkhret osetis ok'up'atsiasa da genotsidshi adanashaulebs [Putin accuses Georgia of occupation and genocide of Abkhazia and South Ossetia].* net'gazeti. https://netgazeti.ge/news/379568/

surguladze, m. k'ek'elia, v. labadze, r. murusidze, sh. da kurtubadze, m. (2021). *sakartvelosa da msoplios ist'oria [History of Georgia and the World].* Tbilisi: Publishing House “Logos Presi”.

t'abula. (19 maisi, 2022). *rudenk'o e.ts'. reperendumze: gasatvalists'inebelia geop'olit'ik'uri sit'uatsia da mizanshets'oniloba[Rudenko about the „referendum“: the geopolitical situation and expediency should be taken into account].* https://tabula.ge/ge/news/686323-rudenko-ec-reperendumze-gasatvaliscinebelia

janelidze, o. tabuashvili, a. tavadze, l. iremashvili, n. (2012). *sakartvelos ist'oria [History of Georgia].* Tbilisi: Publishing House „Klio“.